სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

99 კახეთის გზატკეცილი
0198 თბილისი, საქართველო
116 001
ncdc@ncdc.ge

02 დეკემბერი 2025

NCDC 8 25 01380917

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ ელენე ღუბიანურს

ქალბატონო ელენე,

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2021 წლის 13 აპრილს ქ. ბათუმში, „სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენები) ინსინერაციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა)“ პროექტზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-426).

აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში, დღეის მდგომარეობით განხორციელებულია გარკვეული ცვლილებები. შესაბამისად, ვინაიდან „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“

საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ე[1]“ პუნქტის თანახმად ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გულისხმობს ისეთი სახის ცვლილებას, რომელიც ითვალისწინებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას, ექსპლუატაციის პირობების შეცვლას ან/და წარმადობის გაზრდას, ხოლო ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, განსახილველად წარმოგიდგენთ წინამდებარე სკრინინგის ანგარიშს.

დანართები:

1. სკრინინგის ანგარიში (ელ. ვერსია)
2. Shp ფაილები

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი
ირაკლი ფურცელაძე